

ვებგვერდი, 05/11/2013  
სარეგისტრაციო კოდი  
040030000.22.055.016036

**საქართველოს სპორტისა და  
ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის  
ბრძანება №01/783  
2013 წლის 1 ნოემბერი ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს  
მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დებულების  
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და  
ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 10 აპრილის №48  
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის  
ა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მოსწავლე-  
ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს  
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 10 აპრილის №48 ბრძანებით  
(სსმ, ვებგვერდი, 12/04/2012, სარეგისტრაციო კოდი 040030000.22.055.016014)  
დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მოსწავლე-  
ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დებულებაში (შემდგომში – დებულება) შეტანილ  
იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს  
შემდეგი რედაქციით:

„ბ) შემოიღოს ფასიანი მომსახურება (მათ შორის, სასწავლო-შემოქმედებითი  
პროცესის ორგანიზების და „სასახლის“ სარგებლობაში არსებულ ფართში სხვადასხვა  
სახის ღონისძიებების გამართვისათვის), რის შედეგადაც მიღებული შემოსავალი  
მოახმაროს „სასახლის“ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, რაც ასევე  
ითვალისწინებს „სასახლის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას,  
თანამშრომელთა სოციალურ დაცვას, მათ სტიმულირებას დამატებითი შრომის  
ანაზღაურებისა და წახალისების სახით“.

2. დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი  
რედაქციით:

„ზ) ამტკიცებს ამ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით  
გათვალისწინებულ ფასიანი მომსახურების განაკვეთებს (რაც აგრეთვე ითვალისწინებს ამ  
მომსახურების მსურველ პირთა რეგისტრაციისათვის დაწესებულ საფასურს) და ამ მხრივ

განსაზღვრავს საშეღავათო პირობებს შესაბამისი კატეგორიის ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“.

## **მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2013 წლის 1 სექტემბრიდან.

სპორტისა და ახალგაზრდობის  
საქმეთა მინისტრი

*ლევან ყიფიანი*